

7

ქართული ენა

მოსწავლის წიგნი

თეა ქიტოვილი
ელისო ჩიზარაძე
მაია განაპლი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2019 წელს.

შინაარსი

თავი 1 ენა და დამცარლობა	5
1. მსოფლიო ენები და ქართული ენა	6
2. ქართული ენის დიალექტები	8
3. დამწერლობათა ტიპები	11
4. ქართული დამწერლობის სახეები	14
თავი 2 საზოგადო არსებითი სახელები	23
1. თანხმოვანფუძიანი და ხმოვანფუძიანი არსებითი სახელები	24
2. თანხმოვანფუძიანი სახელების ბრუნება	27
3. ხმოვანფუძიანი სახელების ბრუნება	32
4. ხმოვანფუძიანი სახელების ბრუნება მრავლობით რიცხვში	36
5. კუმშვად-კვეცადი სახელები	39
6. სავრცობი	41
7. თანდებულიანი ბრუნვები	44
8. თანდებულიანი სახელების მართლწერა	48
თავი 3 საკუთარი არსებითი სახელები	55
1. ადამიანის საკუთარი სახელის ბრუნება	56
2. გვარების ბრუნება	59
3. სახელისა და გვარის ერთად ბრუნება	63
4. გეოგრაფიული სახელები	66
5. გეოგრაფიული სახელების წარმოება და ბრუნება	68
თავი 4 ნანარმოები სახელები	75
1. სიტყვების წარმოება	76
2. სიტყვების აგებულება	79
3. ხმაბაძვითი სიტყვები	82
4. პროფესიის სახელები	84
5. აბსტრაქტული სახელები	86
6. ქონებისა და უქონლობის სახელები	88

7. წინა ვითარების სახელები	90
8. დანიშნულების სახელები	92
9. კნინობით-ალერსობითი სახელები	94
10. წარმომავლობის სახელები	96
თავი 5 ზედსართავი სახელი	101
1. ზედსართავი სახელის ჯგუფები	102
2. ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები	105
3. ცალკე მდგომი ზედსართავი სახელის ბრუნება	109
4. ზედსართავი სახელი არსებით სახელთან ერთად	111
თავი 6 რიცხვითი სახელი	119
1. რიცხვითი სახელის ჯგუფები	120
2. რაოდენობითი რიცხვითი სახელის ჯგუფები წარმოების მიხედვით	122
3. რაოდენობითი რიცხვითი სახელის მართლწერა	125
4. რიგობითი რიცხვითი სახელის წარმოება და მართლწერა	127
5. ნილობითი რიცხვითი სახელების წარმოება და მართლწერა	130
6. რიცხვითი სახელების ბრუნება ცალკე და არსებით სახელთან ერთად	132
თავი 7 ნაცვალსახელი	139
1. ნაცვალსახელის ჯგუფები	140
2. I და II პირის ნაცვალსახელები	143
3. III პირის ნაცვალსახელები	146
4. ჩვენებითი ნაცვალსახელები	149
5. კითხვითი ნაცვალსახელები	151
6. კუთვნილებითი და კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები	154
7. ნაწილაკდართული ნაცვალსახელები	158
თავი 8 კომპოზიტები	165
1. კომპოზიტები	166
2. ფუძის გაორკეცებით მიღებული კომპოზიტები	169
3. სხვადასხვა ფუძის შერწყმით მიღებული კომპოზიტები	171
4. აბრევიატურები	174

ენა და დამთარლობა

თავი

1



აქ შეისწავლი...

- როგორ იყოფა მსოფლიოში არსებული ენები
- როგორ გაჩნდა და განვითარდა დამწერლობა
- ქართული დამწერლობის სახეებს

1

მსოფლიო ენები და ქართული ენა

1. დააკვირდი ნახატს. შენი აზრით, რა არის გამოსახული ნახატზე?



2. გაეცანი ტექსტს და შეასრულე ქვემოთ მოცემული დავალებები:

ბუნებრივი ენა ადამიანთა საზოგადოების არსებობის უმთავრესი პირობაა, რადგან ერთმანეთთან ურთიერთობისთვის ადამიანებს, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ენა სჭირდებათ.

ენის წარმოშობის შესახებ მეცნიერული კვლევები სარწმუნო შედეგებს ვერ იძლევა. სხვადასხვა ხალხების თქმულებები კი სხვადასხვანაირად ხსნის ენის წარმოშობას.

ბიბლიური მითი გვამცნობს, რომ ადამიანის შექმნისთანავე გაჩნდა ენაც. ღმერთმა ადამს აჩვენა საგნები და ასწავლა მათი სახელები. ბაბილონის გოდლის შესახებ მითი კი მოგვითხრობს, რომ ადამიანებმა წარლვნის შემდეგ განიზრახეს აეშენებინათ ძალიან მაღალი კოშკი. ამგვარი თავხედობისთვის ღმერთმა დასაჯა ისინი და აურია ენები – მათ სხვადასხვა ენაზე დაწყეს ლაპარაკი და ალარ ესმოდათ ერთმანეთის.

ენებს საერთო წარმომავლობის მიხედვით აჯგუფებენ ენათა ოჯახებად. საერთო წარმომავლობა ნიშნავს იმას, რომ ერთ ოჯახში შემავალი, ანუ მონათესავე ენები, ერთი საერთო ენიდან განვითარდა. ასე ჯგუფდება მსოფლიო ენები რამდენიმე დიდ ოჯახად, მაგალითად: ინდოევროპული (ინგლისური, გერმანული, ნორვეგიული...), სემიტური (არაბული, ფინური, უნგრული...), თურქულ-ალთაური (თურქული, უზბეկური, ყაზახური...) და სხვ.

ქართული ენა ქართველურ ენათა ოჯახის ერთ-ერთი შემადგენელია. სხვა ქართველური ენებია მეგრული და სვანური. მაგრამ ქართველურ ენებს მეცნიერები ვერცერთ სხვა დიდ ოჯახს ვერ უკავშირებენ.

ენებთან შედარებით საკმაოდ მცირეა მსოფლიოში არსებულ დამწერლობათა რიცხვი – მხოლოდ რამდენიმე ასეული. ერთ დამწერლობას ხშირად ბევრი ენა ერთდროულად იყენებს.



ეს ბარელიეფიც ერთ-ერთ ეგვიპტურ ტაძარზეა შემორჩენილი. აქ გამოსახული ნახატები იეროგლიფებთან ერთად გარკვეულ ინფორმაციას გადმოსცემს.

დაწერე რვეულში დასაბუთებული პასუხი

2.1 ენებს ოჯახებად ყოფენ:

- a.** საერთო წარმომავლობის მიხედვით;
- ბ.** ტერიტორიული სიახლოვის მიხედვით.

2.2 მონათესავე ენები განვითარებულია ერთი საერთო ენიდან.

- a.** სწორია
- ბ.** არასწორია

2.3 ქართველური ენებია:

- a.** მხოლოდ მეგრული და სვანური;
- ბ.** ქართული, მეგრული და სვანური.

3. სავარჯიშოები და დავალებები

იმსჯელე

3.1 როგორ შეიძლებოდა გაჩენილიყო ენა ან ენები? იმსჯელეთ ჯგუფებში და დაწერეთ თქვენეული მითი ენის წარმოშობის შესახებ. წარმოადგინეთ პრეზენტაცია.

იმსჯელე

3.2 თქვენი აზრით, რა განაპირობებს ენების სიკვდილს? ჯგუფებში ჩამოწერეთ თქვენი მოსაზრებები, შემდეგ გადმოიტანეთ დაფაზე და იმსჯელეთ თითოეულზე.

2

ქართული ენის დიალექტები

1. ნაიკითხე ქვემოთ მოცემული ტექსტები. იმსჯელე, რით განსხვავდება ისინი ერთმანეთისგან.

„მამამ თქო ერთხელა, მახსონ:
გულქანი მე მგავსო ხსიათშიო, ნუღარ
ელაპარაკებით, ერთს რო იტყვისო.
დედასაცა იგავო, – მამამ თქვის, –
ბებოსაცა იგავო.“

„მარტო ვზივარ მოწყენილი,
მუა ვინცხა ამბავს მკითხავს,
დამეთხუე, თუ ღმერთი გწამს,
მაწუხებელი ბევრი მყავს.“

2. გაეცანი ტექსტს და შეასრულე ქვემოთ მოცემული დავალებები:

საქართველოს კუთხეებში გავრცელებულ მეტყველების ნაირსახეობებს ქართული ენის დიალექტები ენოდება. დიალექტი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს კილოს.

ქართული ენის დიალექტები ძირითადად საქართველოს ტერიტორიაზეა გავრცელებული, ზოგი კი საქართველოს ფარგლებს გარეთაც არსებობს:

იმერხეულ დიალექტზე მოსაუბრე ხალხი თურქეთის ტერიტორიაზე ცხოვრობს.

ინგილოურ დიალექტზე მოსაუბრე ხალხი საქართველოს აღმოსავლეთით, მდინარე ალაზნის პირას ცხოვრობს. ეს ტერიტორია ისტორიული ჰერეთის ნაწილია და ამჟამად აზერბაიჯანს ეკუთვნის. მხოლოდ ინგილოების ერთი ნაწილია დარჩენილი საქართველოს ტერიტორიაზე, კახეთში, დედოფლის სწყაროს რაიონში. ინგილოური დიალექტი, ფაქტობრივად, კახურის ნაირსახეობაა, მაგრამ აზერბაიჯანული ენის გავლენით მნიშვნელოვნადაა სახეცვლილი.

ფერეიდნული მეტყველების საფუძველიც კახური დიალექტია, მაგრამ იგი ოთხი საუკუნეა, რაც სპარსული ენის გავლენას განიცდის და ამიტომ საკმაოდ განსხვავდება კახურისაგან. ფერეიდნელი ქართველები XVII საუკუნის დასაწყისში ირანის შაჰის, შაჰ-აბას I-ის მიერ კახეთიდან ირანში გადასახლებული ქართველების შთამომავლები არიან.

ქართული ენის დიალექტებია: ქართლური, კახური, ხევსურული, ფშაური, თუშური, მოხეური, მთიულურ-გუდამაყრული, მესხური, რაჭული, იმერული, ლეჩუმური, გურული, აჭარული, იმერხეული ანუ კლარჯული, ინგილოური, ფერეიდნული.

რუკაზე ნაჩვენებია საქართველოს ტერიტორიაზე ენებისა და დიალექტების გავრცელება:



ენას, რომლითაც იწერება სახელმძღვანელოები, სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურა, რომელზეც გამოდის უურნალ-გაზეთები, იქმნება სახელმწიფო მნიშვნელობის დოკუმენტები, **სალიტერატურო ენა** ეწოდება. სალიტერატურო ენის უმთავრესი ნიშანი ისაა, რომ მას აქვს დამწერლობა. ამასთანავე, სალიტერატურო ენაზე დაწერილი ყველა ტექსტი ერთგვაროვანი უნდა იყოს ორთოგრაფიის, პუნქტუაციისა და თუნდაც ლექსიკის მხრივ. აქედან გამომდინარე, არსებობს სალიტერატურო ენის წესები ანუ **ნორმები**, რომელთა დაცვაც ყველასათვის ერთნაირად სავალდებულოა.

ზოგჯერ სალიტერატურო ენით დაწერილ ტექსტში შეგვხვდება რომელიმე დიალექტისთვის დამახასიათებელი ფორმა, ამას დიალექტიზმი ეწოდება. დილექტიზმებს მხატვრული ნაწარმოებების ავტორები იყენებენ როგორც მხატვრულ ხერხს, რომ უფრო ცოცხლად შეძლონ პერსონაჟის დახატვა.

დაწერე რვეულში დასაბუთებული პასუხი

2.1 დიალექტი არის:

- ა. ერთი ენის მეტყველების ნაირსახეობა.
- ბ. მეზობელ რეგიონში გავრცელებული ენა.

2.2 ქართული ენის დიალექტები გავრცელებულია:

- ა. მხოლოდ საქართველოში.
- ბ. საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

3. სავარჯიშოები და დავალებები

იმსჯელე

3.1 გაიხსენე, რომელ დიალექტებს იცნობ და რომელს – არა? სად მოგისმენია? ვინ საუბრობს ამ დიალექტზე?

3.2 მოიტანე რომელიმე დიალექტზე ჩაწერილი ტექსტი და წარუდგინე კლასს. შეგიძლია მოიტანო ვიდეო ან აუდიოჩანანერი. შეგიძლია შენ თვითონაც ჩაიწერო ვინმესგან ამა თუ იმ დიალექტზე ნათქვამი ნებისმიერი ამბავი ან საუბარი.

მოძებნე ტექსტში

3.3 გადახედე ლიტერატურის პირველ თავში შესწავლილ ტექსტებს და იპოვე დიალექტური ფორმები. იმსჯელე, რატომ იყენებს ავტორი ამ ფორმებს.

დაწერე რვეულში

3.4 წაიკითხე ქვემოთ მოცემული წინადადებები, რვეულში ამოიწერე დიალექტური ან არასალიტერატურო ფორმები. ჩაწერე მათი სალიტერატურო შესატყვისები.

1. გიმნაზიაში რომ შემიყვანეს, გავცეცდი: იმდენი ბავშვი, ერთად თავმოყრილი, ჩემს დღეში არ მენახა. მოზრდილები სკამზე იჯდენ სულგანაბული და ახალმოსწავლე პატარები კი ჯგუფ-ჯგუფად კედლებთან იყვენ ატუზული.
2. მერე ის უნდა ცდილიყო, რომ სხვისთვის გადაეცა როგორმე იმრიგადვე, ე. ი. ჩაბარების დროს „ლინეიკა“ დაერტყმია ხელის გულზე. ამგვარად ეს საცოდაობის ფირფიტა გადადიოდა ხელიდან ხელში.
3. მოითმინე, მოიჭირვე, მიეჩვიე და ბოლოს კაცი გამოხვალო; მაგათში უმისოდ არ შეიძლებაო!“ მაგრამ მე შორს დავიჭირე და გამოტეხილად ვუთხარი დედას: – „თუ კიდევ გაგიგზავნივარ იმ დასაქცევ გიმნაზიაში, თავს დავიხრიობ-მეთქი!“ შეშინდენ და ჩამომეთხოვენ.

დამწერლობათა ტიპები

3

1. დაკვირდი ქვემოთ მოცემულ ფოტოებს, როგორ ფიქრობ, რა არის გამოსახული მათზე?

ა.



ბ.



გ.



2. გაეცანი ტექსტს და შეასრულე ქვემოთ მოცემული დავალებები:

განვითარების იმ საფეხურზე, როდესაც ადამიანებს დასჭირდათ გარკვეული ინფორმაციის შენახვა, მაგალითად, საქონლის აღრიცხვა, შორ მანძილზე რაომე ამბის შეტყობინება, რელიგიური ტექსტების ჩაწერა და სხვა, გამოიგონეს დამწერლობა.

უძველესი ადამიანები პიქტოგრამებით ანუ ნახატებით „წერდნენ“. ერთი პიქტოგრამა გადმოსცემდა მთელ ამბავს. ამგვარი დამწერლობა ნეოლითის ეპოქაში შეიქმნა, როდესაც ადამიანები შრომის იარაღებს ჯერ კიდევ ქვისგან ამზადებდნენ.

მაგრამ პიქტოგრამებით მხოლოდ ძალიან მარტივი ინფორმაციის გამოხატვა შეიძლებოდა.

აფრიკაში, ნამიბიაში აღმოჩენილი ეს უძველესი ნახატი 10 ათასზე მეტი წლის წინანდელია. მასზე ცხოველების ამბავია „მოთხოვილი“.



ეს წარწერა ეგვიპტური იერო-გლიფებით ამოტვიფრულია ტაძრის კედელზე. ერთი იეროგლიფი ერთ სიტყვას შეესაბამება.

ამგვარ დამწერლობას ძველ ეგვიპტეში ძვ. წ. 3000 წლიდან იყენებდნენ.

საზოგადოების განვითარებასთან ერთად პიქტოგრაფიული (ნახატები) ნიშნები დაიხვენა, დაიშალა უფრო მცირე შემადგენელ ნაწილებად და დროთა განმავლობაში წარმოიქმნა ჯერ ლოგოგრაფიული (როდესაც ერთი ნიშანი ერთ სიტყვას შეესაბამება), შემდეგ მარცვლოვანი და შემდეგ ბგერითი დამწერლობები.

პირველი ბგერითი დამწერლობა, რომელიც ჯერ მხოლოდ თანხმოვნებს შეიცავდა, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულში ფინიკიელებმა, უგარიტელებმა და სხვა სემიტურმა ხალხებმა შექმნეს. სწორედ ფინიკიურის საფუძველზე განვითარდა ყველა თანამედროვე ბგერითი დამწერლობა. ფინიკიურ დამწერლობაში იყო თანხმოვნის გამომხატველი 22 ნიშანი.

ფინიკიელები წერდნენ მარჯვნიდან მარცხნივ.

ფინიკიურის საფუძველზე შეიქმნა ორი მთავარი ანბანური დამწერლობა – **არამეული** და **ბერძნული**. ეს მოხდა დაახლოებით ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-8-მე-9 საუკუნეებში.

არამეული დამწერლობის საფუძველზე ჩამოყალიბდა აზიის დამწერლობები, რომლებიც ძირითადად თანხმოვნების შემცველია. ხოლო ბერძნულის საფუძველზე ჩამოყალიბდა დღეისათვის ცნობილი თითქმის ყველა ანბანური დამწერლობა, რომლებიც თანხმოვნებთან ერთად ხმოვნებსაც შეიცავს.

ბერძნული დამწერლობის უძველესი ნიმუშები ძვ. წ. მე-8-მე-7 საუკუნეებით თარიღდება. ბერძნული დამწერლობა ამ დროისათვის თითქმის უცვლელად იყენებდა ფინიკური დამწერლობის ნიშნებს. თანდათან კი შეიცვალა გრაფე-მების ფორმები, შეიცვალა წერის მიმართულებაც – ბერძნებმა დაიწყეს წერა მარცხნიდან მარჯვნივ, როგორც ჩვენ ვწერთ დღეს. ხოლო ძველი წელთაღ-რიცხვის 403 წელს ათენში ბერძნულმა ანბანმა ის სახე მიიღო, რომლითაც დღეს ჩვენთვის ცნობილია ძველი ბერძნული ანბანი.



ეს ძველბერძნული წარწერა
შემორჩენილია ათენის ტაძარზე.

ბერძნულის საფუძველზე შეიქმნა ლათინური დამწერლობა, რომელსაც დღეს იყენებენ ინგლისელები, ფრანგები, იტალიელები, ესპანელები და სხვა ხალხები.

ბერძნული დამწერლობის საფუძველზე განვითარდა თანამედროვე ბერძნული, გოთური, სლავური, სომხური და სხვა დამწერლობები.

დაწერე რვეულში დასაბუთებული პასუხი

- 2.1** იმსჯელე, რატომ გახდა საჭირო დამწერლობის გამოგონება.
- 2.2** აღნერე დამწერლობის განვითარების ეტაპები.
- 2.3** რა როლი შეასრულა ფინიკიურმა დამწერლობამ ბერძნებითი დამწერლობის განვითარებაში?
- 2.4** რა როლი შეასრულა ბერძნულმა დამწერლობამ თანამედროვე ანბანურ სისტემების განვითარებაში?
- 2.5** წარმოიდგინე, რომ ცხოვრობ ნეოლითის ეპოქაში, დამწერლობა ჯერ გამოგონილი არ არის. შენ კი მეგობრისთვის წერილის მიწერა გინდა. რას გააკეთებდი?

4


ქართული დამწერლობის სახეები

1. დააკვირდი ქვემოთ მოცემულ წარწერებს. შეგიძლია მათი წაკითხვა?

ა.



ბ.



2. გაეცანი ტექსტს და შეასრულე ქვემოთ მოცემული დავალებები:

დღეისათვის ქართული დამწერლობის სამი სახეა ცნობილი: ასომთავრული ანუ მრგლოვანი, ნუსხური და მხედრული.

მეცნიერები მიიჩნევენ, რომ უძველესია მრგლოვანი.

ამაზე მეტყველებს ასოების მოხაზულობაც, მრგვალი, არაკუთხოვანი გრაფემები – ასოები უძველესი წარმოშობის უნდა იყოს, იმდროინდელი, როდესაც წარწერებს ძირითადად ქვაზე ან მაგარ მასალაზე ასრულებდნენ, რომელზეც მრგვალი ფორმების გამოყვანა უფრო ადვილი იყო, ვიდრე კუთხოვანის. ამაზე მეტყველებს ჩვენამდე მოღწეული უძველესი ქვაზე შესრულებული წარწერები და ხელნაწერებიც, რომლებიც სწორედ მრგლოვანი-თაა შესრულებული.